

**ბიჯური ძრავის მართვის უნივერსალური მოდულის შემუშავება და რამდენიმე ტიპიურ  
საინჟინრო ამოცანაში გამოყენების კვლევა**

*მომხსენებლები: ილია ბუზალაძე, შალვა რაქვიაშვილი*

*ხელმძღვანელი: ლევ გეონჯიანი*

ელ-ფოსტა: [buzaladze.iliko@gmail.com](mailto:buzaladze.iliko@gmail.com) [rakviashvili95@gmail.com](mailto:rakviashvili95@gmail.com)

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზირი 1,0179, თბილისი, საქართველო

მომხსენების მიზანია მეშვიდე ყოველწლიურ საფაკულტეტო კონფერენციაზე მსმენელს  
წარუდგინოს პროექტი, რომელიც მოიცავს ბიჯური ძრავის მართვის უნივერსალური სისტემის  
შექმნას, რითაც შესაძლებელი იქნება საინჟინრო მხარდაჭერა გაეწიოს სხვადასხვა დარგში  
მომუშავე მეცნიერებს.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა თვალსაჩინოება რომელიც აერთიანებს ბიჯურ ძრავასა და მასთან  
დაკავშირებულ რამდენიმე სენსორისგან შემდგარ სისტემურ ბლოკს:

- პირველი ბლოკში ბიჯური ძრავის მართვა შეიძლება ხმისა და სინათლის სენსორების  
საშუალებით.
- მეორე ბლოკი აერთიანებს ხმისა და ოპტიკურ სენსორებს.
- მესამე ბლოკი კი შედგება ხმისა და მაგნიტური სენსორებისგან.